საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

გამგებლის ბრძანება

N 2035
16/06/2017

2035-02-4-201706161656

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიხაშკარის საჯარო სკოლის საქვაბის დემონტაჟის შესახებ.

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის", „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების, განაშენიანების რეგულირებისა და სამშენებლო სამართალდარღვევის" საკითხთა კომისიის 2017 წლის 28 აპრილის N10 ოქმის შესაბამისად:*

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**1.** ნება მიეცეს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიხაშკარის N1 საჯარო სკოლას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიხაშკარში, აწარმოოს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ კოდით: N43.05.41.163) მდებარე სკოლის საქვაბის შენობის დემონტაჟის სამუშაოები.

**2.** დემონტაჟის სამუშაოები ჩატარდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

**3.** დემონტაჟის სამუშაოების შემდეგ, ტერიტორიიდან გატანილ იქნეს სამშენებლო ნაგავი, სოფ. დიდინეძის წარმომადგენელთან შეთანხმებით.

**4.** დემონტაჟის სამუშაოები, წარმოებულ იქნეს წარმოდგენილი პროექტისა და კალენდარული გეგმის დაცვით.

**5.** დემონტაჟის სამუშაოებზე კონტროლი დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურს.

**6.** ბრძანება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

2100 ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 90, ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03 E- mail: zugdidi.gamgeoba@gmail.com

**7.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი"-ს 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

**საფუძველი:** 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N43.05.41.163

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი.

3. საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილი.

4. სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიხაშკარის N1 საჯარო სკოლის 2014 წლის

საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა

5. აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტი"-ს აუდიტორული დასკვნა

6. დემონტაჟის პროექტი.

7. ქვითარი მოსაკრებლის გადახდის შესახებ.

ლაშა გოგია

გამგებელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა